თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-68482-24
25 / 11 / 2024

შპს „ემსიბი ჯორჯია“-ს დირექტორს
ალექსანდრე რატიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი მიმდინარე წლის 18 ნოემბრის №02-01-68482-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი №217ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: №01.19.14.005.057) სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენასთან და კომუნიკაციების დაზუსტებასთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს და სიახლოვეს ფიქსირდება შპს „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი მიწისქვეშა D=63 მმ-იანი დაბალი და საჰაერო D=100 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება შპს „თბილისი ენერჯი“-სთან;
- სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე დაზუსტდება გაზსადენების ზუსტი ტრაექტორია. იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი კვეთს მიწის ნაკვეთს აუცილებელია განხორციელდეს მისი საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების ანაზღაურებას და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი ნებართვების მოპოვებას უზრუნველყოფს დამკვეთი;
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეკონსტრუირებული გაზსადენის შეზღუდვის არეალი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“-ს მიხედვით.

აქვე გაცნობებთ, რომ გენგეგმის დამოწმება შპს „თბილისი ენერჯი“-ს მხრიდან მოხდება სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე.

აღნიშნული შეთანხმება დაუშვებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო სამუშაოების ნებართვის მიღების მიზნით. წერილში მითითებული პირობების დარღვევა გამოიწვევს შეთანხმების გაუქმებას.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში